

### რეცენზია



აკაკი ბაქრაძე, „მწერლობის მოთვინიერება“, თბილისი: გიორგი ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმი, 2019 წ., 350 გვ.

ქართველი მკითხველისთვის უკვე ხელმისაწვდომია გამოჩენილი ქართველი კრიტიკოსის აკაკი ბაქრაძის (1928-1999 წწ.) ნაშრომის - „მწერლობის მოთვინიერება“ (1983 წ., პირველად გამოქვეყნდა 1990 წელს) - ახალი გამოცემა, რომელიც გიორგი ლეონიძის სახ. ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმმა განახორციელა. ახალი გამოცემა საყურადღებოა იმით, რომ მასში შეტანილია ის ადგილები, რომლებიც არ გვხვდება 1990 წლის გამოცემაში. ამით ნაშრომი ახალ სიცოცხლეს იძენს და შესაძლოა, ერთგვარი გამართლებაც მოემძებნოს რეცენზიას, რომელიც ნაშრომის გამოქვეყნებიდან ოცდაათი წლის შემდეგ დაიწერა.

„მწერლობის მოთვინიერება“ სამი ნაწილისგან შედგება. პირველი ნაწილი შვიდ თავს მოიცავს და მასში ავტორი უპირისპირდება საბჭოთა ლიტერატურის თეორიის ცენტრალურ დებულებას, რომლის თანახმად, ლიტერატურა (და ზოგადად, ხელოვნება), თავისი ბუნებით, პარტიული და კლასობრივია.

ავტორი დასაწყისშივე აღნიშნავს, ქართველმა ხალხმა მხატვრულ ლიტერატურას ერის ქომაგის ფუნქცია დააკისრაო (გვ. 7). დღეს, 2020 წელს, როდესაც ჩვენ შესაძლოა, იმაზეც კი ვიდავოთ, პოსტმოდერნის ეპოქაში ვცხოვრობთ, თუ ნეოპოსტმოდერნის, ასეთი განცხადება ანაქრონისტულად ჟღერს. ჩემთვის საკამათოა დებულება, რომ „იოანე საბანისძემ დაწერა თხზულება, რომელმაც, ძნელბედობის ჟამს, ქართველ ხალხს რწმენა, ძალა, იმედი, ენერჯია ჩაუწერა და მტკიცედ თავდაცვა ასწავლა“ (გვ. 7). საკამათოა ეს დებულება იმიტომ, რომ როდესაც იოანე საბანისძემ „აბოს წამება“ დაწერა, ანუ მერვე საუკუნეში, მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, ანუ „ქართველმა ხალხის“ საგრძნობმა ნაწილმა, წერა-კითხვა უბრალოდ არ იცოდა. შესაბამისად, ის ვერც „აბოს წამებას“ დააკისრებდა ქომაგის ფუნქციას. გარდა ამისა, მაშინ არც „ქართველი ხალხი“ არსებობდა ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით. თუმცა, თუკი „მწერლობის მოთვინიერების“ გამოქვეყნების პერიოდს გავითვალისწინებთ, რომელიც საქართველოში ეროვნული მოძრაობის აღმავლობას ემთხვევა, მაშინ ავტორის სულისკვეთება სრულებით ნათელია. ამ კონტექსტის გათვალისწინებით, უფრო მართებული იქნება იმის თქმა, რომ ქართველი ხალხი დღეს აღიქვამს „აბოს წამებას“ პატრიოტული სულისკვეთების ნიმუშად, რომ

ჩვენ რეტროსპექტულად იმ ფუნქციას მივაწერთ ადრეულ ქართულ მწერლობას, რომელიც, მან, პრინციპში, XIX საუკუნეში შეიძინა.

XX საუკუნეში კომუნისტურმა პარტიამ ერის ხელმძღვანელობა თავად იკისრა და „ეს ფუნქცია მწერლობას ჩამოართვა“ (გვ. 8). შემდგომ გვერდებზე ავტორი მოურიდებლად ამხელს რუსეთის იმპერიალისტურ პოლიტიკას, რომელიც საბჭოთა კავშირის ინტერნაციონალისტური ცნებით იყო შეფუთული. იგი მიუთითებს იმ სისტემურ პრობლემებზე, რომლებიც საბჭოთა კავშირში არსებობდა და რომლებსაც სსრკ-ს ფარული თუ აშკარა მოტრფიალენი დღემდე უგულვებელყოფენ, როგორც უმნიშვნელო და მეორეხარისხოვან პრობლემებს: მთებიდან მოსახლეობის ძალდატანებითი გადასახლება, მასობრივი რეპრესიები, ეკონომიკური პრობლემები, აკვიატებული იდეები (გვ. 13-21). გარდა ამისა, იგი საუბრობს საბჭოთა პერიოდში განხორციელებული კულტურული რეპრესიის შესახებ (გვ. 25-32): კომუნისტური ზეწოლის შედეგად მთელი რიგი ავტორები და ისტორიული მოღვაწენი (გრიგოლ რობაქიძე, ზურაბ ავალიშვილი, ვიქტორ ნოზაძე, მიხეილ წერეთელი, სოლომონ ლიონიძე, მარო მაცაშვილი და სხვ.) აკრძალულ-მივიწყებულები იყვნენ. თაობები ე.წ. „კულტურულ ვაკუუმში“ იზრდებოდნენ. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 1991 წლიდან, ოც წელზე მეტი დრო დასჭირდა იმას, რომ ქართველი მკითხველისთვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო გრიგოლ რობაქიძის თხზულებათა აკადემიური გამოცემა.<sup>1</sup> დიდი საბჭოთა პაუზის შემდეგ ხელახლა გამოცემას ელიან არჩილ ჯორჯაძის, ნოე ჟორდანიას და სხვა მოაზროვნეთა თხზულებები...

ერთი შეხედვით შესაძლოა, ვინმეს მოეჩვენოს, რომ ა. ბაქრაძე ნაციონალისტი, სულაც, შოვინისტია და ამიტომაც უპირისპირდება რუსეთს და რუსულ კულტურას. „თუ იმდენად დაგვიჩლუნგდა გონება, რომ რუსის სტომაქზე უკეთესი ვერაფერი წარმოგვიდგენია?“ (გვ. 24) „რუსი კომუნისტების მიზანია, ქართული კულტურა (ყველა არარუსი ხალხის კულტურა) იყოს პრიმიტიული, უსახო, უფერო, ერთგანზომილებიანი, მოსაწყენი და არამიმზიდველი“ (გვ. 34). თუმცა, ეს ასე არ არის. ავტორი არ უარყოფს რუსული კულტურის მნიშვნელობას და ნაშრომის დასაწყისშივე აღნიშნავს: „რუსული კულტურა საკაცობრიო კულტურის მნიშვნელოვანი ნაწილი და მიღწევაა“ (გვ. 10).

ის, რასაც ავტორი უპირისპირდება, არის რუსეთის ასიმეტრიული დამოკიდებულება საქართველოს მიმართ: რუსეთი - ზემდგომი, საქართველო - ქვემდგომი, რუსეთი - ჰუმკინი, ბულგაკოვი, პასტერნაკი, ახმადულინა, ცვეტაევა, საქართველო ---- (ანუ, სიცარიელე), რუსეთი - მუსორგსკი, ჩაიკოვსკი, შოსტაკოვიჩი, რახმანინოვი, საქართველო ----. ავტორს სურს, რომ საქართველოშიც ისევე უფრთხილდებოდნენ წარსულს, როგორც რუსეთში („რუსი უფრთხილდება, სათუთად ექცევა თავის კულტურას, თავის ლიტერატურას“, გვ. 33). მისი ბრაზი იმპერიის უღელქვეშ მოქცეული ინტელექტუალის სამართლიანი ბრაზია, რომელიც ცდილობს, დაამსხვრიოს ცენტრის მიერ დადგენილი კონცეპტები (საბჭოთა ხალხი, საბჭოთა ლიტერატურა, ქართული საბჭოთა ლიტერატურა და ა.შ.), დიხოტომიები (რა არის კარგი და რა - ცუდი) და კატეგორიები (საკაცობრიო არის ესა და ეს, პროვინციული კი - ესა და ეს): „მწერლობის მოთვინიერებაში“ ა. ბაქრაძე საბჭოთა აზროვნების დეკონსტრუქციას ახდენს ამ აზროვნების პათოლოგიური მხარეების გამოაშკარავებით. ამისთვის მას ქართული საბჭოთა ლიტერატურიდან ბევრი შთამბეჭქდავი მაგალითი მოჰყავს.

თუმცა, ამ პროცესში, ჩემი აზრით, ავტორი ევროპის იდეალიზებას ახდენს. იგი წერს: „ევროპულმა კულტურამ აღზარდა პიროვნული და ეროვნული თავისუფლების იდეალი აფრიკისა და აზიის დაპყრობილ ხალხებში. გააღვიძა ისინი. ეს გამოფხიზლება მათი

<sup>1</sup> იხ. გ. რობაქიძე, „ნაწერები“, ხუთ ტომად, თბილისი: ლიტერატურის მუზეუმი, 2012 წ.

განთავისუფლებით დამთავრდა. ევროპული კულტურა ყოველთვის ემიჯნებოდა ევროპის სახელმწიფოების მთავრობათა პოლიტიკას. მთავრობას არ აძლევდა კოლონიური ქვეყნების მოტყუების საშუალებას“ (გვ. 38). აღნიშნული დებულება საკამათოდ მიმაჩნია. ევროპული კოლონიალიზმი, სამწუხაროდ, ისევე წარმოადგენს ევროპული კულტურის განუყოფელ ნაწილს, როგორც ევროპული განმანათლებლობა და რუსოს, ვოლტერის, დიდროს, კანტის და სხვა მოაზროვნეთა მემკვიდრეობა. აფრიკისა და აზიის დაპყრობილი ქვეყნების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებას ვერ გავუიგივებთ „ევროპული კულტურის შექმნილი იდეალის“ (იქვე) გამარჯვებას. ეს ამ ქვეყნების ისტორიის ევროპოცენტრისტულ ჭრილში გააზრების ტოლფასია. ეს იგივე იქნებოდა, გვეთქვა, რომ საქართველოს სწრაფვა ეროვნული დამოუკიდებლობისთვის და ამ დამოუკიდებლობის მოპოვება ცალსახად ევროპული იდეალის გამარჯვება იყო, რაც, ალბათ, არ არის სწორი. პოსტკოლონიური ქვეყნების (საქართველოც ასეთ ქვეყნად მიმაჩნია) მიერ გავლილი ისტორიული ტრაექტორიის ახსნა მხოლოდ კოლონიზატორი ქვეყნების კულტურული გამოცდილებების ჭრილში ისეთივე ცალმხრივობაა, როგორც ამ ქვეყნებზე მეტროპოლიების/კოლონიზატორი ქვეყნების გავლენის ხელალებით უკუგდება.

განსაკუთრებით საინტერესოა პირველი ნაწილის მეორე თავი: „ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი და შემოქმედებითი თავისუფლება“. აქ ავტორს მოჰყავს ბევრი საინტერესო მაგალითი, რომლებიც ცხადყოფენ საბჭოთა პერიოდში თავისუფალ აზრზე პარტიული ზეწოლის ხარისხს. ერთ ლექსში ქართველი პოეტი ირაკლი აბაშიძე ლავრენტი ბერიძეზე წერს: „უცებ ქალაქში ვნახე ბერია, / ქუჩა ნაბიჯით დინჯად გადასჭრა... / მე შემოვხედე ჩვენსკენ დარიალს, / ვთქვი - საქართველო უკვე გადარჩა.“ (გვ. 43-44). ბერიძის დახვრეტის შემდეგ დაწერილ ლექსში კი ირაკლი აბაშიძე მის მოღვაწეობას საქართველოში „კაენის სულის აღზევებად“ ახასიათებს (გვ. 45). მსგავსი მაგალითები ავტორს მოჰყავს გრიგოლ აბაშიძის, პეტრე სამსონაძის, კონსტანტინე ლორთქიფანიძის და სხვა ქართველი პოეტების შემოქმედებიდან. თუკი დისკურსს ინფორმაციულ ველს ვუწოდებთ, მაშინ შეიძლება ითქვას, რომ ა. ბაქრაძე საბჭოთა პერიოდის გაბატონებულ ლიტერატურულ დისკურსს (რომელიც „ეპოქის კონიუნქტურას, გაბატონებულ დოგმას და გემოვნებას ფოტოგრაფიულად ასახავს“, გვ. 49) ანალიზებს და მის დეკონსტრუქციას ახდენს. აღნიშნული თავის (ისევე, როგორც მთლიანი ნაშრომის) სულისკვეთებას კარგად გამოხატავს შემდეგი პასაჟი მეხუთე თავიდან („მწერლობა-აგიტპუნქტი და მისი შედეგი“): „როცა ადამიანს აიძულებენ, ის ილაპარაკოს და წეროს, რაც მას არ სწამს და არ სჯერა, ეს არის შემზარავი ინტელექტუალური ექსპლუატაცია. საბჭოთა მოქალაქეების ოთხმოცდაათი პროცენტი მაინც, თუ მეტი არა, იმას ლაპარაკობს და წერს, რაც არ სწამს და არ სჯერა. თუ ანტიკურ ეპოქაში არსებობდა სოციალური მონობის ინსტიტუტი, სოციალიზმის დროს შეიქმნა ინტელექტუალური მონობის ინსტიტუტი“ (გვ. 100).

თუმცა, ავტორი მხოლოდ ლიტერატურული მაგალითების განხილვით არ შემოიფარგლება. ტოტალიტარული წნეხის პირობებში თავისუფალი აზრის გაორების საინტერესო შემთხვევას გვაცნობს იგი ცნობილი ქართველი ფერმწერის ლადო გუდიაშვილის მაგალითზე. 1920-იანი წლების დასაწყისში ლადო გუდიაშვილმა დახატა გრიგოლ რობაქიძის პორტრეტი, რომლითაც ტიცაიან ტაბიძე აღფრთოვანებული იყო. 1934 წელს კი ლადო გუდიაშვილმა მხატვრულად გააფორმა პროლეტარი მწერლის გრიგოლ მუშიშვილის პამფლეტი „გველის პერანგოსანი“, რომელიც რობაქიძის წინააღმდეგ იყო მიმართული. წიგნის ყდაზე რობაქიძის თავს გველის ტანი აქვს მიბმული (გვ. 54-55).

ბანალური ჭეშმარიტება: მოცემულ ეპოქაში გაბატონებულ დისკურსს თავისი უნიკალური ტერმინოლოგია აქვს, თავისი ჟარგონი, რომელიც, მომდევნო ეპოქებისთვის ხშირად უცხოა, განსხვავებულად აღიქმება, რადგან დროის დინების შედეგად სხვა თემები, სხვანაირი ჟარგონია

დომინანტური. „მწერლობის მოთვინიერებაში“ ა. ბაქრაძე იმოწმებს დოკუმენტებს, რომლებიც ცოცხლად გადმოსცემენ 1930-იანი წლების მაჯისცემას, იდეოლოგიურად აქტუალურ თემებს, დამკვიდრებულ კომუნისტურ ჟარგონს. „პროლეტარული მწერლების ბოლშევიზაცია და რიგების გამუშურება ჩვენი გენერალური ლოზუნგია, დამკვირვებელ მუშათა ბირთვის ზრდა - ამოცანათა ამოცანაა“ (გვ. 58); „დაარსებული იქნეს 518 ქარხნის და 1040 სატრაქტორო სადგურის სახელობის მწერალთა ბრიგადები, რომლებიც იმუშავებენ საწარმოებში და კოლექტივებში. ამ ბრიგადებს ევალებათ დღემდე არსებული სუსტად მომუშავე მწერალთა ბრიგადების ბუქსირზე აყვანა“ (გვ. 59).

ერთი და იგივე სიტყვები დომინანტური დისკურსის ფარგლებშიც იცვლის მნიშვნელობას. ამის ნიმუშია ა. ბაქრაძის მიერ სიტყვა „ბოლშევიკის“ / „კომუნისტის“ ანალიზი. თუკი 1920-იან წლებში დომინანტურ ლიტერატურულ დისკურსში ნამდვილი ადამიანი მხოლოდ ბოლშევიკს უდრიდა, 1970-იან წლებში, ახალი კულტურული გამოწვევების (და პარტიული დირექტივების) ფონზე „კომუნისტის“ ცნება უსასრულოდ გაფართოვდა და ის მოიცავდა ისეთ განსხვავებულ (რეალურ, თუ გამოგონილ) პირებს, როგორებიცაა პრომეთე, ჯორდანო ბრუნო, ლენინი, დემეტრე თავდადებული(!) და ა.შ. (გვ. 80-82). ა. ბაქრაძე აჩვენებს დომინანტური იდეოლოგიურ-ლიტერატურული დისკურსის ცვლილების ტრაექტორიას, რომელიც კომუნისტური პარტიის მიერ წარმოებული პოლიტიკის შესაბამისად იცვლებოდა.

გაბატონებული პოლიტიკური დისკურსის შემთხვევაში დიდია საფრთხე იმისა, რომ სიტყვები პროპაგანდის საშუალებებად იქცნენ, ისინი აბსტრაქტულ ხასიათს იძენენ, აღნიშნავენ ყველაფერს და არაფერს ერთსა და იმავე დროს, ქმნიან „ცრუ ენთუზიაზმისა და ცრუ აღტაცების ცრუ პათოსს“ (გვ. 97): „მაშ, იგრაგანეთ კვლავ, მანქანებო, / გრიგალივით რომ დაზგებს დაჰხარით, / დასცხეთ, დაჰკარით, ამხანაგებო, / დასცხეთ-დაჰკარით, დასცხეთ, დაჰკარით“, - იმოწმებს ა. ბაქრაძე ალ. მაშაშვილის ლექსს (გვ. 96).

ქართული საბჭოთა ლიტერატურის განხილვის მაგალითზე ა. ბაქრაძე ცდილობს, აჩვენოს, რომ ჰუმანისტური მოტივები, რომლებიც 1970-იან წლებში გაჩნდა ამ ლიტერატურაში, სინამდვილეში იდეოლოგიურ-პროპაგანდისტულია. რადგან ვერ გამართლდა „საბჭოთა ადამიანის“ ვიწრობოლშევიკური მოდელი, საჭირო გახდა ნამდვილი ჰუმანისტური იდეალის ექსპროპრიაცია, რაც, ბაქრაძის აზრით, კარიკატურის სახეს იღებს. ჰუმანიზმის ბაქრაძისეული ხედვა ცალსახად ქრისტიანულია (გვ. 79-80). იგი თვლის, რომ მას შემდეგ, რაც 1920-1930-იანი წლების საბჭოთა ლიტერატურის იდეალებმა მარცხი განიცადეს, ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში დაიწყო ერთგვარი შემოტრიალება ჰუმანისტური იდეალისკენ, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ან აბსტრაქტულ-უშინაარსო ფორმით ვლინდებოდა, ან ცალსახად რელიგიურ (ქრისტიანულ) კონოტაციებს შეიცავდა. ამ უკანასკნელი მიმართულების გამოვლენად ა. ბაქრაძეს ნოდარ დუმბაძის „მარადისობის კანონი“ (1978 წ.) მიაჩნია, რომლის პერსონაჟ ბაჩანა რამიშვილს სიკვდილის ჟამს ქრისტე ესიზმრება. ამ „შემოტრიალებას“ ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში ა. ბაქრაძე ასე აფასებს: „კაცის სულს მარქსიზმ-ლენინიზმმა ვერაფერი მისცა და ადამიანის დამშეული სამშვივნელი ისევ უკან, ქრისტიანობისაკენ მიბრუნდა. მწერლობაც იძულებულია, იქ ეძებოს ზნეობრივი იდეალი“ (გვ. 104. იხ., ასევე, გვ. 109). ამ კონტექსტშივე ჯდება ნ. დუმბაძის მოთხრობა „კუკარაჩა“, სადაც მილიციელი სახარებას კითხულობს. ა. ბაქრაძის თანახმად, „ეს მწერლის ოცნებაა ქრისტიანულ კაცთმოყვარეობაზე, რომელსაც იგი სოციალისტურ სინამდვილეში ვეღარ ხედავს“ (გვ. 277).

პირველი ნაწილის მეექვსე თავში (“საერთო ადამიანური თუ კლასობრივ-პარტიული?”) ა. ბაქრაძე ლიტერატურის ჰუმანისტური პრინციპის პერსპექტივიდან განიხილავს საბჭოთა ლიტერატურას. ჰუმანისტური პრინციპის გამოხატულებად მას მიაჩნია ილია ჭავჭავაძის მოთხრობა „ნიკოლოზ

გოსტაშაბიშვილი“, სადაც ქართველი მეომარი ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილი ბრძოლის ველზე ხვდება ირანელ მებრძოლს, რომელმაც ბევრი ქართველი მოკლა. გოსტაშაბიშვილი შეებრძოლება ირანელს, დაამარცხებს მას, მაგრამ არ კლავს, რადგან მისი ვაჟკაცობით მოიხიბლება. ამისგან განსხვავებით, ა. ბაქრაძის მიხედვით, საბჭოთა ლიტერატურა ხატავდა ისეთ ადამიანს, რომელიც ადამიანურ იდეალებზე წინ პარტიულ, კლასობრივ იდეალებს აყენებდა. თუმცა, ასეთი „უღირსებო ადამიანი“, რომელიც მზადაა, პარტიული ინტერესის გამო გაწიროს თავისი მეგობარი და ოჯახის წევრიც კი, ა. ბაქრაძის აზრით, მისაბამ იდეალად ვერ გამოდგება. აქვე ავტორს შემოაქვს პრობლემური დიხოტომია „თეისტურ“ და „ათეისტურ“ საზოგადოებებს შორის. იგი წერს: „იდეალის პოვნა ძნელია და რთული ათეისტურ საზოგადოებაში, რამეთუ აქ ღმერთი უარყოფილია და მწერლობამ არ უწყის ნათლად და მკაფიოდ - ვინ უნდა აღიაროს იდეალად“ (გვ. 129). თუმცა, როგორ საზოგადოებად შეგვეძლო მიგვეჩნია თუნდაც ბაქრაძის თანამედროვე, 1990-იანი წლების საფრანგეთი? „თეისტურად“ მას ალბათ, ნაკლებად თუ მივიჩნევთ. თუკი ბაქრაძის მიერ გამოყენებულ დიხოტომიას გავიზიარებთ, მაშინ იმდროინდელი საფრანგეთი უფრო „ათეისტური“ იყო. ამ ლოგიკით გამომდინარეობს, რომ თანამედროვე ფრანგულ მწერლობას იდეალები არა აქვს და რომ ასეთი იდეალები მხოლოდ ცალსახად ქრისტიანულ, „თეისტურ“ საზოგადოებას აქვს.

თუმცა, ქრისტიანული მოტივების ეს თავისებური გამოყენება, ავტორის მსოფლმხედველობრივი მრწამსის გარდა, საბჭოთა კავშირში არსებულ სპეციფიკურ სიტუაციაზე ავტორის რეაქციადაც შეიძლება განვიხილოთ. ეს „სპეციფიკური სიტუაცია“ ბაქრაძეს გაანალიზებული აქვს პირველი ნაწილის უკანასკნელ, მეშვიდე თავში („იდეალი და ლიტერატურის პარტიულობის პრინციპი“). ბაქრაძე ახასიათებს ვითარებას, რომელსაც ფრანკფურტის სკოლის ტრადიციის ჭრილში, „აზროვნების პათოლოგია“ შეგვიძლია ვუწოდოთ: მარქსიზმ-ლენინიზმის გამოცხადება ერთადერთ ჭეშმარიტ მოძღვრებად, ლენინის არნახული ხარისხით გაფეტიშება, რელიგიური მოტივების გამოყენება პარტიული მოტივებით და ამასთან ერთად, არსებული რელიგიების გამასხარავება და მათი გამოცხადება „წარსულის გადმონაშთებად“. ვფიქრობ, ა. ბაქრაძე ცდილობდა, ქრისტიანულ მოძღვრებასთან შეპირისპირების გზით ამ ფენომენების ფსევდო-რელიგიური ხასიათი ეჩვენებინა. დაბოლოს, აღვნიშნავ, რომ „აზროვნების პათოლოგის“ ცნების ჭრილში საინტერესოა, ასევე, ა. ბაქრაძის მიერ ე.წ. „კანონიერი ქურდის“ ფენომენის ანალიზი (გვ. 147-148).

ნაშრომის მეორე ნაწილში ავტორი განიხილავს საბჭოთა ლიტერატურული ცენზურის რეპრესიულ ბუნებას, აანალიზებს მაგალითებს, როდესაც ქართველი მწერლების ნაწარმოებები თვითნებურად მახინჯდებოდა ცენზურის ჩარევის შედეგად, ან კიდევ უფრო უარესი, როდესაც მწერლებს ფიზიკურად უსწორდებოდნენ (რასაც, როგორც წესი, წინ უსწრებდა ცენზურის საქმიანობა). ავტორის მიხედვით, რეპრესიული ცენზურის ავანგარდს ქმნიდნენ პარტიული ფუნქციონერები და ლიტერატურის კრიტიკოსები მიხეილ კახიანი, ბენიტო ბუაჩიძე, მალაქია ტოროშელიძე, დავით დემეტრაძე, კანდიდ ჩარკვიანი, გიორგი ნატროშვილი, ბესარიონ ჟღენტე, და სხვ. ტრაგიკული ირონია აღმოჩნდა ის, რომ შემდეგში თავად ამ კრიტიკოსებიდან ბევრი ისევ საბჭოთა რეჟიმის მიერ იქნა ან დაპატიმრებული, ან დახვრეტილი, ან გაკიცხული და შერისხული. თავში „აზრის დასაჭურისება“ მოყვანილია კონკრეტული მაგალითები, რომლებშიც ავტორი აჩვენებს, თუ რა პასაჟები იქნა ამოღებული, იდეოლოგიურ-პარტიული შეხედულებებიდან გამომდინარე, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილის და სხვა ქართველი მწერლების ნაწარმოებებიდან.

მესამე ნაწილის პირველ თავში („უღირსებო კაცი, ანუ ახალი ადამიანი“) ა. ბაქრაძე ეხება ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში სქესთა შორის ურთიერთობის მომენტებს. ლიტერატურის

პარტიულობის პრინციპი აქაც დომინანტური იყო. ამის შედეგი იყო, ა. ბაქრადის აზრით, ქალისა და მამაკაცის სტერეოტიპიზაცია, პერსონაჟთა მოქმედების სქემატიზება და პრიმიტიული დიხოტომიის - ურყევი კომუნისტი მამაკაცი / მერყევი ქალი - დამკვიდრება (გვ. 262-273).

მესამე ნაწილის მეორე თავი („სამშობლო“) პოსტკოლონიური დისკურსის ფარგლებში ნაყოფიერ მასალას გვთავაზობს. XIX-XX საუკუნეების საქართველოს ისტორიული სინამდვილის ამსახველი ლიტერატურული ნაწარმოებების ანალიზის საფუძველზე ა. ბაქრადე ცდილობს, გაიაზროს, თუ რას მოიაზრებდნენ ქართველი მწერლები „სამშობლოს“ ცნებაში. გაბატონებული ლიტერატურულ-იდეოლოგიური დისკურსის ძირითად ხაზი, ბაქრადის თანახმად, ფსევდოკოსმოპოლიტიზმი იყო, რომელიც სინამდვილეში ყოველგვარი ეროვნული მოტივის ცენზურასა და რეპრესიას გულისხმობდა. 1920-1930-იან წლებში ქართულ მწერლობაში ჯერ კიდევ ვლინდებოდა ეროვნული მოტივები, რომლის განვითარება შემდგომში საბჭოთა ცენზურამ შეაჩერა. ბაქრადისთვის მიუღებელია კოსმოპოლიტიზმის საფარქვეშ რუსი ერის უპირატესობის დებულება, რომელიც, მისი აზრით, საფუძვლად ედო საბჭოთა პროპაგანდას. აღნიშნული საკითხის ანალიზს იგი აგრძელებს მესამე ნაწილის (და ნაშრომის) უკანასკნელ თავში „ეროვნული ენერჯის ძიება“. აქ იგი ერთმანეთს ადარებს მეფის რუსეთისა და საბჭოთა კავშირის პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებაში. ბაქრადის შეფასებით, თავისუფალი აზრის ჩახშობის, სახელმწიფო რეპრესიული აპარატის მიერ კულტურის განსხვავებული ზედამხედველობის ხარისხისა და სადამსჯელო ღონისძიებების მიხედვით, საბჭოთა კავშირმა საგრძნობლად „გადაუსწრო“ მეფის რუსეთს.

საკამათო დებულებები ამ თავშიც მრავლადაა: მაგალითად, ბაქრადე მიიჩნევს, რომ კლასობრივი საკითხი მეფის რუსეთის მიერ ხელოვნურად შემოტანილი ცნება იყო, რათა საქართველოში თერგდალეულებს კოლონიური სისტემისთვის რეალური საფრთხე არ შეექმნათ. შესაძლოა, გარკვეულ მომენტებში რუსეთის იმპერიის საიდუმლო სამსახური ამა თუ იმ რევოლუციურ ჯგუფს ახალისებდა და სხვა რევოლუციური ჯგუფის წინააღმდეგ მიმართავდა, თუმცა იმის თქმა, რომ კლასობრივი თემა მეფის რუსეთის ხელისუფლებამ დაამკვიდრა იმპერიაში, სერიოზულ დასაბუთებას საჭიროებს. ასევე პრობლემურია ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ცალსახად ნეგატიურ კონტექსტში განხილვა და ეროვნული საკითხის „დამარცხების“ მხოლოდ მათთვის დაბრალება.

თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნე, პოსტკოლონიური კვლევების პერსპექტივა აღნიშნული ვითარების გასააზრებლად ნაყოფიერ ნიადაგს გვთავაზობს: ავტორს, როგორც ანექსირებული და დამოუკიდებლობაწართმეული ქვეყნის მოქალაქეს, აწუხებს ეს მდგომარეობა. მას აშფოთებს ვითარება, როდესაც ოფიციალურ საბჭოთა დისკურსში არარუს ერებს დაქვემდებარებული სტატუსი ენიჭებათ. მისი აზრით, განუწყვეტელმა იდეოლოგიურმა ცენზურამ საქართველოში, დაპყრობილ ქვეყანაში ხიზანის, ლტოლვილის მენტალიტეტი წარმოშვა, რომელიც მუდმივად მფარველის ძიების პროცესშია, ხოლო იდეოლოგიურმა ზემოქმედებამ მეტროპოლიაში ხელი შეუწყო იმპერიული და დესპოტური მენტალიტეტის ჩამოყალიბებას (გვ. 321-325). შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი, ბაქრადის აზრით, არის „სულის რევოლუცია“ - მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და ეროვნული ტრადიციების შერწყმა, რომლის სამაგალითო წარმომადგენლებად მას იაპონია და ისრაელი მიაჩნია (გვ. 325-328).

რა შეიძლება ითქვას ამ ძალიან გრძელი რეცენზიის დასასრულს? ნაშრომში ხშირად გვხვდება საკამათო და დაუსაბუთებელი განზოგადებები, თუმცა, ჩემი აზრით, ეს მის ღირსებას სრულიადაც არ აკნინებს. ეს პრობლემური დებულებები იმ წინააღმდეგობების გამომსახველად მიმაჩნია, რომლებშიც საქართველომ 1990-იან წლებში შეაბიჯა. ამ მხრივ „მწერლობის მოთვინიერება“ ეპოქის დოკუმენტია, რადგან მასში კარგად ჩანს კონფლიქტური სიბრტყეები,

რომლებიც ნაშრომის გამოქვეყნებიდან მოკლე პერიოდში დიდი ძალით შეეჯახნენ ერთმანეთს. მეტროპოლიისა და ყოფილი კოლონიის დაპირისპირებამ ჯერ ლატენტური, შემდეგ კი აშკარა და დაუფარავი ომისა და ანექსიის სახე მიიღო.

ნაშრომის ძალიან დიდ ღირსებას ქმნის საბჭოთა ლიტერატურული ცენზურის გამოწვლილვითი ანალიზი. ავტორის მიერ კულტურის განსხვავებული სფეროებიდან მოყვანილი მაგალითების საფუძველზე მკითხველის თვალწინ იკვეთება დომინანტური იდეოლოგიური დისკურსის კონტურები, მისი მოქმედების თავისებურებები და ხერხები. ნათლადაა ნაჩვენები, თუ როგორ დააზარალა ქართული მწერლობა (და ქართველი მწერლები) საბჭოთა იდეოლოგიური აპარატის მიერ განხორციელებულმა უწყვეტმა წნეხმა. გარდა ამისა, ავტორი აჩვენებს, თუ რა ცვლილება განიცადა დომინანტურმა იდეოლოგიურმა დისკურსმა 1920-იანი წლებიდან 1980-იანი წლების ჩათვლით. მრავალი კონკრეტული მაგალითი, რომლებიც ავტორს ოსტატურად მოჰყავს თავის ნაშრომში, აბსტრაქციებში ჩაკარგვის საშუალებას არ იძლევა და მკითხველს აღნიშნულ პროცესებზე თვალნათელ წარმოდგენას აძლევს.

ნაშრომის წარმმართველ მოტივად თავისუფლებისკენ დაუოკებელი სწრაფვა მიმაჩნია. ეს ყველა თავში იგრძნობა. ჩემი აზრით, დღეს „მწერლობის მოთვინიერება“ უმთავრესად სწორედ ამიტომ უნდა წავიკითხოთ.